N1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალისოფლის თემის მაჟორიტარი დეპუტატის, ამავე თემის მოსახლეობასთან გამართული შეხვედრის ოქმი.

შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 27 ოქტომბერს ახალისოფლის თემების ადმინიტრაციულ შენობაში.
შეხვედრებს ესწრებოდნენ, ახალი სოფლის თემის მოსახლეობა.
შეხვედრას უძღვებოდა ბადრი ხურცია.

დღის წესრიგი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარის, ბადრი ხურციას 2025 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ.

მომხსენებელი: მუნიციპალიტეტის ახალისოფლის თემის მაჟორიტარი დეპუტატის, საკრებულოს ქონების მართვის და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია.

მოსახლეობასთან შეხვედრაზე აღვნიშნე, რომ როგორც საკრებულოს საკრებულოს ქონების მართვის და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტისათვის ყველა მნიშვნელოვანი და საკეთილდღეო საკითხების განხილვა-დაგეგმვაში.

საკრებულოს სხდომებზე აქტიურად ვუჭერდი მხარს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელ მნიშვნელოვან პროექტს.

საკრებულოში ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მოვისმინე და შევაფასე სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობა, ა.(ა).ი.პ. სენაკის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს მიერ 2024 წელს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის მიმართულებით გაწეული საქმიანობა, გადავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, ნოქალაქევის ადმინისრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 44.06.22.458), ელექტრონული აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით და განვსაზღვრეთ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა, მოვისმინე სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ცნობად მივიღე ინფორმაცია 2024 წელს სარგებლობის უფლებით დადებული სასყიდლიანი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ, მოვისმინე სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა

დაავადებების წინააღმდეგ 2024 წლეს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, გადავეცით სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 44.04.28.347) 27,7 კვ.მ. თავისუფალი ფართი ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით.

მე როგორც საკრებულოს საკრებულოს ქონების მართვის და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები, მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ვმონაწილეობდით ჩვენ მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ყველა მნიშნელოვან ღონისძიებაში.

შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

საკრებულოს ქონების მართვის და ეკონომიკური
საკითხების კომისიის თავმჯდომარე,
ახალისოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ბადრი ხურცია.